

შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“

ცემენტის წარმოება

(ქ. კასპი)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1. იურიდიული ასპექტები

შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. კასპში, შპს „ეკოცემენტი“-ს ცემენტის წარმოებაზე 2008 წლის 26 ივნისს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №27, რომლის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-820; 27.08.2019), ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის შესაბამისად ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-887; 13.09.2019) გადაეცა შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს.

2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს მიერ წარდგენილი იქნა ქ. კასპში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-889; 05/10/2020-ის ქ. კასპში შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

აღნიშნული სკრინინგის განცხადების მიხედვით ტექნიკური გადაიარაღება შეეხებოდა საწარმოში მოქმედ ცემენტის სატრანსპორტო სისტემას, კერძოდ, ბურთულებიანი წისქვილიდან სილოსებში ტრანსპორტირების დროს და ასევე ცემენტის გაცემის პროცესში დანაკარგების მინიმიზაციას, რისთვისაც ნაცვლად მოძველებული ტექნოლოგიური დანადგარებისა საწარმოს მიერ ექსპლუატაციაში შევიდა ახალი, თანამედროვე დანადგარები, კერძოდ მაღალი მტვერდაჭერის მქონე ფილტრებით აღჭურვილი სეპარატორი, რომელიც დანაკარგების მინიმიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს საუკეთესო ხარისხის ცემენტის მიღებას, ფილტრით აღჭურვილი ლენტური ტრანსპორტიორის მიმღები ბუნკერი, ასევე ფილტრით აღჭურვილი ელევატორი, ორი მხრიდან დახურული ლენტური ტრანსპორტიორი, ნაცვლად ღია ლენტური ტრანსპორტიორისა. ტექნოლოგიური დანადგარების კომპლექტაციის ნაწილს სხვა დანადგარებთან ერთად შეადგენდა საპასპორტო მონაცემების მიხედვით მაღალი მტვერდაჭერის უნარის მქონე (99,992%) სახელოიანი ფილტრი კომპრესორთან ერთად, რომლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით წარმადობა შეადგენს 62000მ³/სთ-ს. კონტრაქტორი კომპანიის სხვა დანადგარებთან ერთად სახელოიანი ფილტრის მოწოდების შემდგომ აღმოჩნდა, რომ კომპრესორის პარამეტრები რეალურად არ შეესაბამებოდა ჩვენთვის წინასწარ ცნობილ პარამეტრებს (ზომებს, წარმადობას), ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფილტრზე სხვა კომპრესორის დამონტაჟების, რის შემდგომ შეძენილი იქნა ასევე გერმანული წარმოების კომპრესორი, წარმადობით 6500მ³/სთ. იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ პირობებში ფილტრის მტვერდაჭერის ხარისხი იქნებოდა სხვა, ჩატარებული იქნა რამდენიმე საცდელი გაშვება ფილტრის რეალური მტვერდაჭერის ხარისხის დადგენის მიზნით. მიღებული ახალი მონაცემების საფუძველზე გვაქვს საშუალება რეალური პირობების ამსახველი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის წარმოების, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობის პირობებში. საწარმოს მიერ ასევე შეძენილი იქნა ამერიკული წარმოების უწყვეტი მონიტორინგის დანადგარი, რომელიც გამოცდის მიზნით ჩართვიდან მოკლე დროში გამოვიდა მწყობრიდან, რის შემდგომ გაგზავნილი იქნა მწარმოებელ კომპანიასთან მის შემოწმების და მწყობრში მოყვანის მიზნით. როგორც დადგენილი იქნა კონტრაქტორი კომპანიის მიერ, მწყობრიდან გამოსვლის

მიზეზი ტენიანობის სენსორის არასწორი შერჩევა გახდა. ამჟამად დანადგარი დაგვიბრუნდა გამართულ მდგომარეობაში. ჩვენს მიერ ახალი სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენის ერთ-ერთი მიზეზია კომპრესორის სხვა კომპრესორით შეცვლა, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

2020 წლის სკრინინგის განცხადების მიხედვით საწარმოს დაგეგმილი ჰქონდა არსებული სილოსების ტერიტორიიდან გატანა ახალი სილოსების ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ. მაღალეფექტური სეპარატორის არსებობის პირობებში საწარმოს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს რამდენიმე განსხვავებული ხარისხის ცემენტი, ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ექსპლუატაციიდან ამოღებული ძველი სილოსების ექსპლუატაციაში დაბრუნების შესახებ.

საწარმოს სპეციალისტების მიერ ჩატარებული იქნა არსებული ციკლონის ვიზუალური დათვალიერება, რის შემდგომ აღმოჩენილი იქნა ღრმა კოროზიის ნიშნები, ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ციკლონის ექსპლუატაციიდან ამოღების შესახებ, რაც ბუნებრივია გამოიწვევს ციკლონის დამლექი კამერის გაუქმებას.

სამომხმარებლო ბაზარზე დაფუძვლილი კირქვის პერიოდულად წარმოქმნილი დეფიციტის გამო, საწარმოს დაგეგმილი აქვს მცირე წარმადობის (8-9 ტონა/სთ) კირქვის საფუძვლი დანადგარის ექსპლუატაციაში შეყვანა, სადაც მოხდება კირქვის მსხვილი ფრაქციის გარკვეული რაოდენობის შემოტანა/დასაწყობება ტერიტორიაზე, მისი შემდგომი დაფუძვა და დასაწყობება.

იმისათვის, რომ კლინკერის დაყოვნებას ღია გარემოში დიდხანს არ ჰქონდეს ადგილი, დაიგეგმა არსებული საწყობის მიმდებარედ, მისგან აღმოსავლეთის მხარეს ახალი, ზემოდან გადახურული, 6 მეტრი სიმაღლის ერთი მხრიდან ღია 350მ² ფართობის საწყობის მოწყობა, სადაც მოხდება კლინკერის ნაწილის დაყრა/შენახვა,

ცვლილებები დაგეგმილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით. საწარმოს გზშ-ის მიხედვით სხვა მოთხოვნებთან ერთად საწარმოს ეკისრება წყლის რეზერვუარის მოწყობა ხანძარქრობისათვის. ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე ხანძრის აღმოცენების ერთადერთ რისკის ფაქტორს წარმოადგენს ელექტროდანადგარები(ცემენტის საფუძვლი დანადგარი, კომპრესორი). სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის №370; 23.07.2015-ის დანართი 1-ის მიხედვით სხვადასხვა ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიის კლასიფიკაციის მიხედვით აღნიშნული განეკუთვნება (E) კლასს – ელექტროდანადგარების წვასთან დაკავშირებული ხანძრები, რა დროსაც წყლის გამოყენება ხანძრის ქრობისათვის აკრძალულია, ამიტომ წყლის ავზის მოწყობის ნაცვლად, საწარმოს სახანძრო ინვენტარით აღჭურვა მოხდება №370 დადგენილების დანართი 1-ის შესაბამისად, რაც ამ ეტაპზე თითქმის (უმნიშვნელო გამოწვევის გარდა) შესრულებულია. ასევე გზშ-ის პირობების მიხედვით საწარმოს ევალება სახანძრო უსაფრთხოების ოთახის მოწყობა, რის ნაცვლად მოეწყობა სახანძრო სტენდი ნაცვლად დახურული ნაგებობის, რაც საწარმოში მოწყობილია ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში არსებულ ნაგებობაზე.

სამომხმარებლო ბაზრის შესწავლის შედეგად საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი იქნა წარმოებული პროდუქციის ახალი სიმძლავრე, კერძოდ, წლიურად წარმოებული ცემენტის რაოდენობა შემცირებული იქნება - დადგენილი 223200 ტონის ნაცვლად ახალი სიმძლავრე შეადგენს

201600 ტონა/წელს, რაც მიღწეული იქნება სამუშაო საათების შემცირების ხარჯზე - ახალი სამუშაო რეჟიმი შეადგენს 280 სამუშაო დღეს 24 საათიანი გრაფიკით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგად ადგილი ექნება საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას და წარმადობის შეცვლას.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში ასახულია როგორც უკვე განხორციელებული, ასევე სხვა, საწარმოს მიერ დაგეგმილი ტექნოლოგიური ცვლილებებით მიღებული ახალი მდგომარეობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება.

საქმიანობის განმხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“
იურიდიული მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N35ა, ბ. 76
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. კასპი
საქმიანობის სახე	ცემენტის წარმოება
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	405347174
ელექტრონული ფოსტა	giagit1@gmail.com
საკონტაქტო პირი	გია ოქრუაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 77 40 22 56
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. „BS Group“
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

X	Y
4942711,9	5149881,6
4942832,54	5150012,5
4942920,9	5149944,44
4942936,4	5149954,0
4942956,75	5149939,66
4943029,6	5149865,6
4942931,66	5149712,74

დანართებზე 1.1; 1.2 და 1.3 წარმოდგენილია შესაბამისად საწარმოს საკადასტრო ნახაზი, ორთოფოტო მანძილის მითითებით და გენ-გეგმა ინფრასტრუქტურული ობიექტების დატანით

დანართი 1.1




საკადასტრო გეგმა

საგარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **67.01.50.015**
 განცხადების ნომერი: **882015698391**
 მომზადების თარიღი: **09/12/2015**


ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**
 ფართობი: **26187 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



დანართი 1.2.



დანართი 1.3.



2. საწარმოს მდებარეობა

შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს ცემენტის მწარმოებელი საწარმო ფუნქციონირებს მისამართზე ქალაქი კასპი, საწარმოს კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე(ს/კ 67.01.50.015), საერთო ფართობით 26187კვ.მ, სადაც შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 2975კვ.მ-ს. ტერიტორია ყველა მხრიდან შემოღობილია კაპიტალური კედლით, ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია დატკეპნილი ღორღის ფენით, ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არა არის.

ტერიტორია მდებარეობს კასპის ცენტრალური უბნიდან სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 1,3კმ. მანძილის დაშორებით, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით 75 მეტრ მანძილში მდებარეობს სარკინიგზო მაგისტრალი, საიდანაც სარკინიგზო ხაზი შედის(სარკინიგზო ჩიხი) საწარმოს ტერიტორიაზე, ხოლო ჩრდილოეთით 145მ. მანძილის დაშორებით მდებარეობს იგოეთი-კასპი-ახალქალაქის ავტომაგისტრალი, რომლიდანაც დატკეპნილი გრუნტის გზით შესაძლებელია საწარმომდე მისვლა. ტერიტორიის შემოგარენში ძირითადად განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. საწარმოს მომიჯნავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ცემენტის მწარმოებელი საწარმო შპს „ევრაზია კაპიტალი“. ჩრდილო-აღმოსავლეთით საწარმოდან 180 მეტრით დაშორებულია სააქციო საზოგადოება „კასპიელექტროაპარატი“. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდინარე მტკვარი მიედინება ტერიტორიიდან სამხრეთით, 490 მეტრის დაშორებით. მანძილი უახლოეს მოსახლემდე(67.01.51.083), რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ მხარეს, შეადგენს 354 მეტრს.

3. ტექნოლოგიური დანადგარები

2020 წლის სკრინინგის განცხადების მიხედვით ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით დაგეგმილი სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე განხორციელებულია, კერძოდ: მოწყობილია ბეტონის ფუნდამენტი და ლითონის სადგამები, რომლებზეც განთავსებულია სილოსები; მოწყობილია ბეტონის ფუნდამენტი, რომელზეც განთავსებულია ნედლეულის მიმღები ბუნკერები; მოწყობილია ბეტონის ფუნდამენტი, რომელზეც განთავსებულია სეპარატორი; მოწყობილია ბეტონის ფუნდამენტი, რომელზეც განთავსებულია ლენტური ტრანსპორტიორი და ლენტური ტრანსპორტიორის მკვებავი ბუნკერი; შემოტანილია ახალი კომპრესორი; ექსპლუატაციიდან ამოღებულია საწარმოს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული სილოსები; მოწყობილია ახალი სილოსები საერთო ტევადობით 2000 ტონა;

4. დაგეგმილი სამუშაოები

წარმოდგენილია პარაგრაფში 1. - იურიდიული ასპექტები.

5. ტექნოლოგიური ციკლი

დაგეგმილი ცვლილებების შემდგომ საწარმოს ექსპლუატაცია შემდეგია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს საქმიანობა პორტლანდცემენტის წარმოება.

პორტლანდცემენტი სამშენებლო დანიშნულების წვრილმარცვლოვანი ფხვნილია, რომელიც მიიღება პორტლანდცემენტის კლინკერის დაფქვით თაბაშირთან და სპეციალური დანიშნულების დანამატებთან ერთად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს ცემენტის შემადგენელი ინგრედიენტები შემოაქვს სხვა საწარმოებიდან.

საწარმოში დამონტაჟებულია მაქსიმალური 30 ტ/სთ წარმადობის ერთი ცემენტის დასაფქვავი დანადგარი.

საწარმოში კლინკერი შემოდის სარკინიგზო ვაგონებით და იყრება ლიანდაგის მიმდებარედ, საიდანაც მაღალი ტვირთამწეობის ტრანსპორტის საშუალებით დაიყრება საწარმოს გადადახურულ, ორი მხრიდან ღია, ხოლო ორი მხრიდან ნაწილობრივ ღია ნაგებობაში. იმისათვის, რომ კლინკერის დაყოვნებას ღია გარემოში დიდხანს არ ჰქონდეს ადგილი, დაიგეგმა არსებული საწყობის მიმდებარედ, მისგან აღმოსავლეთის მხარეს ახალი, ზემოდან გადახურული, 6 მეტრი სიმაღლის ერთი მხრიდან ღია 350მ² ფართობის საწყობის მოწყობა, სადაც მოხდება კლინკერის დაყრა/შენახვა, რომელიც შეიძლება შეადგენდეს კლინკერის საერთო რაოდენობის 30%-ს, თუმცა აღნიშნულ საწყობში, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ნედლეულის მცირე რაოდენობის დაყრა/შენახვაც. კლინკერი, ინერტული მასალები და მინერალური დანამატები ბორბლებიანი სატვირთელის საშუალებით იყრება საწარმოს ღია ტერიტორიაზე არსებულ ზემოდან გადახურულ ოთხ ბუნკერში, საიდანაც დოზირებულად იყრება ორი მხრიდან დახურული ლენტური ტრანსპორტიორის დახურული ტიპის ბუნკერში, რომელზეც ჩაყრისას გაფრქვეული მტვრის დაჭერის მიზნით დამონტაჟებულია სახელოიანი ფილტრი რეალური მტვერდაჭერით 99,9% მტვერდაჭერით. ლენტური ტრანსპორტიორიდან კაზმი იყრება ბურთულეებიანი წისქვილის მიმღებ ბუნკერში. წიქვილიდან დაფქვილი მასალა დახურული ხრახნული კონვეიერით და ჯამებიანი ელევატორით ჩაიყრება 99,99%-იანი მტვერდაჭერის ფილტრის მქონე მბრუნავ სეპარატორში, საიდანაც უკვე მზა მასალა (ცემენტი) ჩაიყრება სეპარატორის მიმდებარედ არსებულ ცემენტის 4 სილოსში და ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე 6 სილოსში, ხოლო შედარებით მსხვილი(დაუფქვავი) მასალა დაბრუნდება უკან ცემენტის წისქვილის პირველ კამერაში. სეპარატორის ფილტრის მიერ დაჭერილი მასალა(მზა ცემენტი) დახურული აეროდარების და ხრახნული კონვეიერის ელევატორით ასევე ტრანსპორტირდება ცემენტის საცავ სილოსებში(თანაბარი ტევადობის 4 სილოსი, ჯამური ტევადობა 2000ტ) და თანაბარი ტევადობის 6 სილოსში, თითოეული ტევადობით 150 ტონა. სეპარატორის მიმდებარედ არსებული სილოსები ერთმანეთთან დაკავშირებულია მილებით, რომელთა მტვერდაჭერა ხდება სილოსების ორი სახელოიანი ფილტრით, ეფექტურობით 99.99%, ხოლო 6 სილოსი ასევე ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი საერთო მილით, რომელზეც ფუნქციონირებს ერთი კასეტური ფილტრი, მტვერდაჭერის ხარისხით 99,99%. ელევატორზე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სილოსებში ცემენტის ჩაყრა, ასევე დამონტაჟებულია სახელოიანი ფილტრი, მტვერდაჭერის ხარისხით 99,99%. ცემენტის წისქვილიდან დანაკარგის აცილების მიზნით წისქვილზე დამონტაჟებულია სახელოიანი ფილტრი (მტვერდაჭერა 99.98%), საიდანაც დაჭერილი ცემენტის მტვერი ბრუნდება წარმოებაში პროდუქციის სახით. ცემენტის მტვერი ატმოსფეროში გაიფრქვევა ელექტროტუმბოს და მტვერგამწოვი მილით. მიღებული პროდუქციის(ცემენტის) გაცემა წარმოებს ტომრებში და ცემენტშიდებზე, სადაც დამტვერიანების პრევენციისათვის ცემენტის ჩაყრისას გამოყენებული იქნება ე.წ. სპეციალური ჩამყრელი“ხორთუმები“, რომელთა საშუალებით ჩაყრის წერტილებიდან დაჭერილი მტვერი ჩაიყრება სილოსებში, ხოლო ტომრებში დაფასოება წარმოებს დასაფასოებელი დანადგარის გამოყენებით.

სამომხმარებლო ბაზარზე დაფქვილი კირქვის პერიოდულად წარმოქმნილი დეფიციტის გამო, საწარმოს დაგეგმილი აქვს კირქვის საფქვავი დანადგარის ექსპლუატაციაში შეყვანა, სადაც მოხდება კირქვის მსხვილი ფრაქციის გარკვეული რაოდენობის შემოტანა/დასაწყობება ტერიტორიაზე, მისი შემდგომი დაფქვა და დასაწყობება.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ინერტული მასალებისა და ცემენტის მტვრის სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ბურთულეებიანი წისქვილი; კლინკერის ვაგონებიდან ჩამოცლის ადგილი; ნედლეულის საწყობებში დაყრის და შენახვის ადგილი; ნედლეულის მიმღებ მკვებავ ბუნკერებში ჩაყრის ადგილი;

ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორის ბუნკერში ჩაყრის ადგილი; ლენტური ტრანსპორტიორი; ნედლეულის საფქვავის ბუნკერში ჩაყრის ადგილი; ცემენტის სეპარატორი; სილოსები; ელევატორი; ცემენტის დაფასოების ადგილი, კირქვის დაყრა/შენახვის ადგილი, კირქვის საფქვავში ჩაყრის ადგილი, კირქვის საფქვავე დანადგარი.

6. წყლის გამოყენება

საწარმოში ადგილი აქვს წყლის გამოყენებას ადგილი აქვს მხოლოდ სამეურნეო - საყოფაცხოვრებო მიზნით. წყალალევა განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული ჭიდან.

7. ჩამდინარე წყლები

ჩამდინარე წყლების კატეგორია შემდეგია:

- სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები

საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საასენიზაციო ორმოში.

7.1. სანიაღვრე წყლები

საწარმოს როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის არც ერთ ეტაპზე ადგილი არ ექნება წვიმის წყლის დაბინძურებას მავნე ნივთიერებებით(საწარმოს მოწყობის პირობები საშუალებას იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების. იხ. ცხრილი 5.2.), ამიტომ სანიაღვრე წყლების წარმოშობას ადგილი არ ექნება.

8. საწარმოს ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით უკვე შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოები

8.1. შესრულებული სამუშაოები

წარმოდგენილია პარაგრაფში 3 - ტექნოლოგიური დანადგარები.

8.2. შესასრულებელი სამუშაოები

1. მოხდება საწარმოს ჩრდილოეთით განთავსებული სილოსების (რომალთა ექსპლუატაციიდან ამოღება დაგეგმილი იყო) არსებული 6 სილოსის ბურთულებიან წისქვილსა და სეპარატორთან დამაკავშირებელი მილების მონტაჟი/აღდგენა;

2. მოხდება ციკლონის ბურთულებიან წისქვილთან დამაკავშირებელი მილების ჩახსნა და ციკლონი გატანილი იქნება მოშორებით საწარმოსავე ტერიტორიაზე;

3. ნედლეულის საწყობსა და ბურთულებიანი წისქვილის შენობებს შორის მოხდება ახალი ნაგებობის აშენება, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება უკვე არსებული ორი კედელი(საწყობის და წისქვილის) - აშენდება მესამე კედელი და მოეწყობა ბეტონის სახურავი. ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები შემოტანილი იქნება სხვა საწარმოდან. გამოყენებული იქნება საწარმოში დასაქმებული მუშა-ხელი. სამუშაოები შესრულდება მცირე დეროში. ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება;

4. ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება მცირე წარმადობის კირქვის სამსხვრევი დანადგარი. დაიდგმევა საწარმოს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. განთავსება არ საჭიროებს სპეციალური ბეტონის ბალიშების შექმნას ან სხვა სამუშაოებს;

9. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და ანალიზი

9.1.1. ზემოქმედებები მოწყობის ეტაპზე

ინფორმაციის ანალიზის შედეგად საქმიანობის სპეციფიკის და შერჩეული ტერიტორიის არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით მოწყობის ეტაპზე ზემოქმედებები განხილვას არ დაექვემდებარა.

9.1.2. ზემოქმედებები ექსპლუატაციის ეტაპზე

ცხრილი 9.2. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები ექსპლუატაციის ეტაპზე(ცხრილი 9.1.)

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად რაიმე მნიშვნელოვანი საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ აღინიშნება; • საწარმოს ტერიტორიაზე რაიმე ისეთი მასშტაბური სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება არ იგეგმება, რაც აძლიერებს საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკს.
ზემოქმედება ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებზე, დაცულ ტერიტორიებზე	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის ზეგავლენის არეალში ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, დაცული ტერიტორიები არ მდებარეობენ; • შესასრულებელი მიწის სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე, საავარაუდოდ, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის ფაქტებს ადგილი არ ექნება. მათი გამოვლენის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.
ზემოქმედება ზედაპირულ, გრუნტის წყლებზე.	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს, ამასთან ექსპლუატაციის არც ერთ ეტაპზე არ მოხდება წვიმის წყლის დაბინძურება არაორგანული ან ცემენტის მტვრით (კედლების მქონე დახურული საწყობები, ნედლეულის ან ცემენტის ჩაყრის ადგილები მოქცეულია სახურავის ქვეშ, სეპარატორი, ლენტური ტრანსპორტიორები და სილოსები წარმოადგენენ დახურულ დანადგარებს, ნედლეულის ბუნკერები მოქცეულია სახურავის ქვეშ, კლინკერის შენახვას(დასაწყობებას) ღია ტერიტორიაზე ადგილი არ ექნება - კლინკერის ვაგონებიდან დაცლა მოხდება მხოლოდ მშრალ ამინდში, ნედლეულის დახურული საწყობის შესასვლელთან მოწყობა ბეტონის ხელოვნური 25-30სმ. სიმაღლის შემადღება დამრეცი ფერდებით, რაც უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლის შეღწევისაგან საწყობის დაცვას), ამიტომ ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი არ ექნება ჩამდინარე წყლების წარმოშობას, ამასთან საწარმოს ზემოქმედების ზონაში ზედაპირული წყლის ობიექტი არ არსებობს.

9.2.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ექსპლუატაციის ეტაპზე

9.2.1.1 ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ინერტული მასალებისა და ცემენტის მტვრის სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ბურთულებიანი წისქვილი; კლინკერის ვაგონებიდან ჩამოცლის ადგილი; ნედლეულის საწყობებში დაყრის და შენახვის ადგილი; ნედლეულის მიმღებ მკვებავ ბუნკერებში ჩაყრის ადგილი; ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორის ბუნკერში ჩაყრის ადგილი; ლენტური ტრანსპორტიორი; ნედლეულის საფქვავის ბუნკერში ჩაყრის ადგილი; ცემენტის სეპარატორი; სილოსები; ელევატორი;

ცემენტის დაფასოების ადგილი, კირქვის დაყრა/შენახვის ადგილი, კირქვის საფუძველში ჩაყრის ადგილი, კირქვის საფუძველი დანადგარი.

9.2.1.2. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები(ცხრილი 9.2.)

ცხრილი 9.2.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2909	ინერტული მასალის მტვერი	0.5	0.15	3
2908	ცემენტის მტვერი	0.3	0,1	3

9.2.1.3. ფონური კონცენტრაციები

ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობები დგინდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფეროს დაბინძურების დაკვირვების პოსტებზე რეგულარული დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე. ამ მონაცემების არარსებობის შემთხვევაში ფონური კონცენტრაციის სავარაუდო მნიშვნელობები აიღება ცხრილი 9.3.-ის მიხედვით.

ცხრილი 9.3.

მოსახლეობის რაოდენობა, ათ. კაცი	ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა, მგ/მ ³			
	აზოტის დიოქსიდი	გოგირდისდიოქსიდი	ნახშირჟანგი	მტვერი
250-125	0,03	0,05	1,5	0,2
125-50	0,015	0,05	0,8	0,15
50-10	0,008	0,02	0,4	0,1
<10	0	0	0	0

მოცემულ შემთხვევაში კასპისათვის გამოყენებული იქნება ცხრილის მესამე რიგში (50-10ათ.კაცი) მოცემული მნიშვნელობები.

9.2.1.4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

1. ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ბურთულეობიანი წისქვილიდან, (გ-1);

ცემენტის დაფქვისას წარმოქმნილი აირნარევის მოცულობა შეადგენს 6500 მ³/სთ(1,8055მ³/წმ) - ს, ხოლო მტვრის კონცენტრაცია აირნარევაში სეპარატორიანი წისქვილებისათვის - 700 გ/მ³-ს, მაშინ:

$$M = 700 \times 1,8055 = 1263,85 \text{ გ/წმ}$$

ქსოვილიან ფილტრში გავლის შემდეგ, რომლის ეფექტურობა ტოლია 99,98 %-ის, მივიღებთ:

$$M = 1263,85 \times 0,02 / 100 = 0,2528 \text{ გ/წმ.}$$

იმის გათვალისწინებით, რომ წისქვილი წელიწადში იმუშავებს 6720 სთ. წლიურად გაფრქვეული ცემენტის მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0,2528 \times 3600 \times 6720/10^6 = 6,116 \text{ ტ/წელ.}$$

შემდგომში გათვლების წარმოებისას გამოყენებული იქნება ლიტერატურული წყარო[4], დანართი 117-ის შესაბამისად რეკომენდირებული კოეფიციენტი, რომლის მიხედვით, როდესაც ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილნი საერთოგაცვლითი

ვენტილაციით (გაფრქვევები ხდება ფანჯრების და კარებების ღიობებიდან) და რომლებშიც მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროებს არ გააჩნიათ ადგილობრივი გაწოვის სისტემები, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, მყარი ნაწილაკების გაფრქვევების გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ამ გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტები, კერძოდ, 0,4.

2. ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში კლინკერის ვაგონებიდან ჩამოცლის ადგილიდან, გ-2

ვაგონებიდან ადგილი აქვს კლინკერის ზალპურ ჩამოცლას სარკინიგზო ლიანდაგთან 2 მეტრამდე სიმაღლის კედლის მიმდებარედ, ასევე ტერიტორიაზე კლინკერის დიდი ხნით შენახვას ადგილი არ ექნება. ერთდროულად მოხდება 5 ვაგონის, თითოეული 70 ტონა ტევადობის, დაცლა. თითოეული პროცესის, ანუ 350 ტონა კლინკერის ვაგონებიდან დაცლის ხანგრძლივობა შეადგენს 1,5საათს. აღნიშნული გათვლების შეაბამისად გაფრქვევის წყაროს მუშაობის დრო შეადგენს 717 საათს წლიურად.

ლიტერატურული წყარო[3]-ის თანახმად ამტვერებადი მასალების გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$M = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_8 \times K_9 \times B \times G_{სთ} \times 10^6 / 3600, \text{ გ/წმ} \text{----- (1),}$$

ხოლო წლიურად გაფრქვეული მტვრის რაოდენობა:

$$G = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_8 \times K_9 \times B \times G_{წლიური} \text{----- (2), სადაც,}$$

- M - მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა (გ/წმ) ინერტული მასალების დაყრისას;
- G - მტვრის გაფრქვევის წლიური რაოდენობა (ტ/წელი) ინერტული მასალების დაყრისას;
- K₁ - მასალაში მტვრის ფრაქციის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტია (მნიშვნელობა მოცემულია აღნიშნული ლიტერატურული წყაროს ცხრილში 1);
- K₂- მტვრის მთელი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტია (ცხრილი 1);
- K₃ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია (ცხრილი 2);
- K₄ - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტია (ცხრილი 3);
- K₅- მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია (ცხრილი 4);
- K₇ - მასალის სიმსხვილეზე დამოკიდებულების მაჩვენებელი კოეფიციენტია (ცხრილი 5);
- K₈ - შემასწორებელი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია გრეიფერის ტიპზე. სხვა სახის გადატვირთვის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, მისი მნიშვნელობა ტოლია 1-ის (ცხრილი 6);
- K₉ - შემასწორებელი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა გამოიყენება ავტოთვითმცლელიდან მასალის სწრაფი ზალპური დაცლის შემთხვევაში. მისი მნიშვნელობა ტოლია 0,2-ის, იმ შემთხვევაში თუ ერთდროულად ზალპურად ჩამოცლილი მასის რაოდენობა შეადგენს 10 ტონაზე ნაკლებს, 10 ტონაზე მეტის შემთხვევაში ტოლია 0,1-ის. სხვა შემთხვევებში კოეფიციენტი K₉ ტოლია 1-ის;
- B – გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია (ცხრილი 7);
- G_{სთ} - ობიექტის მწარმოებლობა, ტ/სთ;
- G_{წლიური} - ობიექტის მწარმოებლობა, ტ/წელი.

იმავე ლიტერატურული წყაროს თანახმად, ფორმულაში შემავალი საანგარიშო პარამეტრები წარმოდგენილია ქვემოთ:

$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,5; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,7; G_{სთ} = 233,333 \text{ ტ/სთ}; G_{წლიური} = 167300 \text{ ტ};$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,5 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,7 * 233,333 * 10^6 / 3600 = 0,013 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,5 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,7 * 167300 = 0,0337 \text{ გ/წმ}$$

3. მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ორი მხრიდან ღია, ხოლო ორი მხრიდან ნაწილობრივ ღია საწყობში დაყრისას და შენახვისას, გ-3

ნედლეულის დაყრა ხდება ზემოდან გადახურულ შენობაში, რომელსაც არ აქვს კედლები ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთის მხარეს არსებული კედლები ნახევრად ღია კედლებს წარმოადგენენ, ამიტომ საწყობი განხილული იქნება როგორც ორი მხრიდან ღია, ხოლო ორი მხრიდან ნაწილობრივ ღია ტიპის საწყობად.

1. კლინკერი

ა) დაყრა

რკინიგზის ხაზის მიმდებარედ დაცლილი კლინკერის ტრანსპორტირება საწყობში ხდება 25-30 ტონა ტვირთამწეობის თვითმცლელელებით. ერთჯერადად ჩამოცლილი კლინკერის ნახევრადღია საწყობში ტრანსპორტირების ოპერაცია გრძელდება 7 საათის განმავლობაში, ანუ ნახევრად ღია საწყობისათვის $G_{სთ} = 350,0 \times 0,7 / 7 = 35 \text{ ტ/სთ};$

კლინკერის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,3; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{სთ} = 35,0 \text{ ტ/სთ}; G_{წლიური} = 117110 \text{ ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 35,0 * 10^6 / 3600 = 0,00084, \text{ გ/წმ}$$

ხოლო წლიურად გაფრქვეული მტვრის რაოდენობა:

$$G = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 117110 = 0,01, \text{ ტ/წელი}$$

ბ) შენახვა

ამტვერებადი მასალის შენახვისას მტვრის გაფრქვევების ანგარიში წარმოებს ლიტერატურული წყარო[5]-ის მიხედვით შემდეგი ფორმულებით:

$$M = K_4 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times F_{სამუშ} + K_4 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times 0,11 \times q \times (F_{ფართ.} - F_{სამუშ.}) \times (1 - \eta), \text{ გ/წმ} \text{ ----- (3)}$$

ხოლო წლიურად გაფრქვეული მტვრის რაოდენობა:

$$G = 0,11 \times 8,64 \times 10^{-2} \times K_4 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times F_{ფართ.} \times (1 - \eta) \times (T - T_{წვ.} - T_{თოვლ.}) \text{ ----- (4), სადაც,}$$

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტი (ცხრილი 3);

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი (ცხრილი 4);

K_6 - შენახული მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი, განსაზღვრა წარმოებს შეფარდებით: $K_6 = F_{მკს.} / F_{ფართ.};$

K_7 - მასალის სიმსხვილეზე დამოკიდებულების მაჩვენებელი კოეფიციენტი (ცხრილი 5);

q - ფაქტიური ზედაპირის 1 m^2 ფართობიდან ატაცებული მტვრის წილი(გ/მ²წმ.) – მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით: $q = 10^{-3} * a * v^b$; ჩვენს შემთხვევაში $q = 0,002$;

η - მტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ მტვერდამჭერის ხარისხი. მტვერდამჭერი მოწყობილობის არ არსებობის შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ტოლია 0-ის;

T - მასალის შენახვის მთლიანი დრო განსახილველი პერიოდისთვის (დღე-ღამე); ჩვენს შემთხვევაში $T=365$;

$T_{\text{თოვლ.}}$ - დღეების რაოდენობა სტაბილური თოვლის საფარით; ჩვენს შემთხვევაში $T_{\text{თოვლ.}} = 0$ (ინერტული მასალების შენახვა ხდება დახურულ ნაგებობაში);

$T_{\text{წვ.}}$ - წვიმიანი დღეების რაოდენობა განსახილველი პერიოდისთვის; ჩვენს შემთხვევაში $T_{\text{წვ.}} = 0$ (ინერტული მასალების შენახვა ხდება დახურულ ნაგებობაში);

$F_{\text{ფართ.}}$ - მტვრის წარმოქმნის (ამტვერების) ზედაპირის ფართობი (მ^2) გენ-გეგმის მიხედვით;

$F_{\text{სამუშ.}}$ - ამტვერების ფართობი (მ^2) გენ-გეგმის მიხედვით, რომელზედაც სისტემატურად წარმოებს (კვირაში ერთჯერ მაინც) ჩატვირთვა/გადატვირთვის ოპერაციები;

$F_{\text{მაქს.}}$ - შენახული მასალის ზედაპირის მაქსიმალური ფართობი (მ^2);

(9) და (10) ფორმულის შემადგენელი კომპონენტების გათვლა:

ფართ., $F_{\text{სამუშ.}}$ და $F_{\text{მაქს.}}$ მნიშვნელობები:

საწარმოს მიერ დადგენილი იქნა $F_{\text{ფართ.}}$, $F_{\text{სამუშ.}}$ და $F_{\text{მაქს.}}$ შემდეგი მნიშვნელობები:

$$F_{\text{ფართ.}} = 400\text{მ}^2; F_{\text{სამუშ.}} = 200; F_{\text{მაქს.}} = 500\text{მ}^2;$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$K_6 = F_{\text{მაქს.}} / F_{\text{ფართ.}} = 500 / 400 = 1,25$$

(3) და (4) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_4 = 0,3; K_5 = 0,8; K_6 = 1,25; K_7 = 0,5; q = 0,002; \eta = 0; T = 365; T_{\text{თოვლ.}} = 0; T_{\text{წვ.}} = 0; F_{\text{ფართ.}} = 400; F_{\text{სამუშ.}} = 200; F_{\text{მაქს.}} = 500.$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * (0,3 * 0,8 * 1,25 * 0,5 * 0,002 * 200 + 0,3 * 0,8 * 1,25 * 0,5 * 0,11 * 0,002 * (400 - 200) * (1 - 0)) = 0,02664\text{გ/წმ};$$

$$G = 0,4 * 0,11 * 8,64 * 10^{-2} * 0,3 * 0,8 * 1,25 * 0,5 * 0,002 * 400 * (1 - 0) * (365 - 0 - 0) = 0,167\text{ტ/წელი}.$$

სულ საწყობში კლინკერის დაყრა/შენახვისას გაიფრქვევა:

$$M = 0,00084 + 0,02664 = 0,0275\text{გ/წმ};$$

$$G = 0,01 + 0,167 = 0,177\text{ტ/წელი}.$$

2. კირქვა

კირქვის შემოტანა და დაყრა საწყობში ხდება მაღალი ტვირთამწეობის (>10ტ) ავტოტრანსპორტით.

ა) დაყრა

კირქვის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,3; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{\text{სთ}} = 3,3\text{ტ/სთ}; G_{\text{წლიური}} = 22200\text{ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,02 * 0,04 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 3,3 * 10^6 / 3600 = 0,002, \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,4 * 0,02 * 0,04 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 22200 = 0,051, \text{ ტ/წელი}$$

ბ) შენახვა

კირქვის შენახვისას მტვრის გაფრქვევების ანგარიში (3) და (4) ფორმულებით.

F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} მნიშვნელობები:

საწარმოს მიერ დადგენილი იქნა F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} შემდეგი მნიშვნელობები:

F_{ფართ.} = 200მ²; F_{სამუშ.} = 100მ²; F_{მაქს.} = 300მ²;

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

K₆ = F_{მაქს.} / F_{ფართ.} = 300 / 200 = 1,5

(3) და (4) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები შემდეგია:

K₄ = 0,3; K₅ = 0,8; K₆ = 1,5; K₇ = 0,5; q = 0,002; η = 0; T = 365; T_{თოვლ.} = 0; T_{წვ.} = 0; F_{ფართ.} = 200,0; F_{სამუშ.} = 100,0; F_{მაქს.} = 300.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

M = 0,4 * (0,3 * 0,8 * 1,5 * 0,5 * 0,002 * 100 + 0,3 * 0,8 * 1,5 * 0,5 * 0,11 * 0,002 * (200 - 100) * (1 - 0)) = 0,016გ/წმ;

G = 0,4 * 0,11 x 8,64 x 10⁻² x 0,3 x 0,8 x 1,5 x 0,5 x 0,002 x 200 x (1 - 0) x (365 - 0 - 0) = 0,1ტ/წელი.

სულ საწყობში კირქვის დაყრა/შენახვისას გაიფრქვევა:

M = 0,002 + 0,0011 = 0,0031გ/წმ;

G = 0,051 + 0,027 = 0,078ტ/წელი.

2.თაბაშირი

თაბაშირის შემოტანა და დაყრა საწყობში ხდება მაღალი ტვირთამწეობის(>10ტ) ავტოტრანსპორტით.

ა) დაყრა

თაბაშირის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

K₁ = 0,03; K₂ = 0,02; K₃ = 1,2; K₄ = 0,3; K₅ = 0,8; K₇ = 0,5; K₈ = 1,0; K₉ = 0,1; B = 0,5; G_{სთ} = 1,8ტ/სთ; G_{წლიური} = 12100ტ;

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

M = 0,4 * 0,03 * 0,02 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 1,8 * 10⁶ / 3600 = 0,000864, გ/წმ

G = 0,4 * 0,03 * 0,02 * 1,2 * 0,3 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 12100 = 0,021, ტ/წელი

ბ) შენახვა

თაბაშირის შენახვისას მტვრის გაფრქვევების ანგარიში (3) და (4) ფორმულებით.

F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} მნიშვნელობები:

საწარმოს მიერ დადგენილი იქნა F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} შემდეგი მნიშვნელობები:

F_{ფართ.} = 150მ²; F_{სამუშ.} = 50მ²; F_{მაქს.} = 200მ²;

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

K₆ = F_{მაქს.} / F_{ფართ.} = 200 / 150 = 1,333

(3) და (4) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები შემდეგია:

K₄ = 0,3; K₅ = 0,8; K₆ = 1,333; K₇ = 0,5; q = 0,002; η = 0; T = 365; T_{თოვლ.} = 0; T_{წვ.} = 0; F_{ფართ.} = 150,0; F_{სამუშ.} = 50,0; F_{მაქს.} = 200.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

M = 0,4 * (0,3 * 0,8 * 1,333 * 0,5 * 0,002 * 50 + 0,3 * 0,8 * 1,333 * 0,5 * 0,11 * 0,002 * (150 - 50) * (1 - 0)) = 0,0078გ/წმ;

G = 0,4 * 0,11 x 8,64 x 10⁻² x 0,3 x 0,8 x 1,333 x 0,5 x 0,002 x 150 x (1 - 0) x (365 - 0 - 0) = 0,0666ტ/წელი.

სულ საწყობში თაბაშირის დაყრა/შენახვისას გაიფრქვევა:

M = 0,000864 + 0,0078 = 0,008664გ/წმ;

G = 0,021 + 0,0666 = 0,0876ტ/წელი.

სულ გ-3 წყაროდან გაიფრქვევა:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,0275 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,177 \text{ ტ/წელი.}$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,031 + 0,008664 = 0,04 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,078 + 0,0876 = 0,1656 \text{ ტ წელი.}$$

4. ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში კლინკერის ერთი მხრიდან ღია საწყობიდან, გ-4

ა) დაყრა

კლინკერის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,1; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{\text{სო}} = 35,0 \text{ ტ/სთ}; G_{\text{წლიური}} = 50190 \text{ ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,1 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 35,0 * 10^6 / 3600 = 0,00028, \text{ გ/წმ}$$

ხოლო წლიურად გაფრქვეული მტვრის რაოდენობა:

$$G = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,1 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 50190 = 0,00144, \text{ ტ/წელი}$$

ბ) შენახვა

თაბაშირის შენახვისას მტვრის გაფრქვევების ანგარიში (3) და (4) ფორმულებით.

F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} მნიშვნელობები:

საწარმოს მიერ დადგენილი იქნა F_{ფართ.}, F_{სამუშ.} და F_{მაქს.} შემდეგი მნიშვნელობები:

$$F_{\text{ფართ.}} = 150 \text{ მ}^2; F_{\text{სამუშ.}} = 50 \text{ მ}^2; F_{\text{მაქს.}} = 200 \text{ მ}^2;$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$K_6 = F_{\text{მაქს.}} / F_{\text{ფართ.}} = 200 / 150 = 1,333$$

(3) და (4) ფორმულების შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_4 = 0,1; K_5 = 0,8; K_6 = 1,333; K_7 = 0,5; q = 0,002; \eta = 0; T = 365; T_{\text{თოვლ.}} = 0; T_{\text{წვ.}} = 0; F_{\text{ფართ.}} = 150,0; F_{\text{სამუშ.}} = 50,0; F_{\text{მაქს.}} = 200.$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * (0,1 * 0,8 * 1,333 * 0,5 * 0,002 * 50 + 0,1 * 0,8 * 1,333 * 0,5 * 0,11 * 0,002 * (150 - 50) * (1 - 0)) = 0,0026 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,4 * 0,11 * 8,64 * 10^{-2} * 0,1 * 0,8 * 1,333 * 0,5 * 0,002 * 150 * (1 - 0) * (365 - 0 - 0) = 0,022 \text{ ტ/წელი.}$$

სულ საწყობში კლინკერის დაყრა/შენახვისას გაიფრქვევა:

$$M = 0,00028 + 0,0026 = 0,00288 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0144 + 0,022 = 0,0364 \text{ ტ/წელი.}$$

5. ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის მკვებავ ბუნკერებში ჩაყრისას, გ-5

1. კლინკერი

კლინკერის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{\text{სო}} = 24,9 \text{ ტ/სთ}; G_{\text{წლიური}} = 167300 \text{ ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 24,9 * 10^6 / 3600 = 0,00001, \text{ გ/წმ}$$

ხოლო წლიურად გაფრქვეული მტვრის რაოდენობა:

$$G = 0,4 * 0,01 * 0,003 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 167300 = 0,00024, \text{ ტ/წელი}$$

2.კირქვა

კირქვის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{\text{სთ}} = 3,3 \text{ ტ/სთ}; G_{\text{წლიური}} = 22200 \text{ ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,02 * 0,04 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 3,3 * 10^6 / 3600 = 0,000035, \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,4 * 0,02 * 0,04 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 22200 = 0,00085, \text{ ტ/წელი}$$

2.თაბაშირი

თაბაშირის გადატვირთვისას მტვრის გაფრქვევის ინტენსივობები წარმოებს (1) და (2) ფორმულებით, სადაც:

$$K_1 = 0,03; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,8; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G_{\text{სთ}} = 1,8 \text{ ტ/სთ}; G_{\text{წლიური}} = 12100 \text{ ტ};$$

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 0,4 * 0,03 * 0,02 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 1,8 * 10^6 / 3600 = 0,00001, \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,4 * 0,03 * 0,02 * 1,2 * 0,005 * 0,8 * 0,5 * 1,0 * 0,1 * 0,5 * 12100 = 0,00035, \text{ ტ/წელი}$$

სულ გ-5 წყაროდან გაიფრქვევა:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,00001 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00024 \text{ ტ/წელი}.$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,000035 + 0,00001 = 0,000045 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,00085 + 0,00035 = 0,0012 \text{ წელი}.$$

6. მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორის ბუნკერში ჩაყრისას, გ-6

მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორის ბუნკერებში ჩაყრის ადგილიდან ტოლია მტვრის გაფრქვევის ინტენსივობისა ნედლეულის მკვებავ ბუნკერებში ჩაყრის ადგილიდან(გ-5), ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს კასეტური ტიპის ფილტრი, რომლის მტვერდაჭერის ხარისხი ტოლია 99,9%-ის, ამიტომ:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,00001 * 0,1/100 = 0,00000001 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00024 * 0,1/100 = 0,00000024 \text{ ტ/წელი}.$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,000045 * 0,1/100 = 0,000000045 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0012 * 0,1/100 = 0,0000012 \text{ წელი}.$$

7. მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას, გ-7

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულა (2)-ის მიხედვით:

$$Q = Wc * \alpha * \gamma * L \text{ (კგ/წმ)} \text{ -----(3), სადაც:}$$

$$W_c = 3 \times 10^{-5} \text{კგ/მ}^2\text{წმ};$$

$$\alpha = 0,8\text{მ};$$

$$\gamma = 0,1;$$

$$L = 37\text{მ}.$$

გათვლების წარმოებისას გათვალისწინებული იქნება ის ფაქტი, რომ აღნიშნული კონვეიერი წარმოადგენს ორი მხრიდან დახურულ კონვეიერს.

გ-7 წყაროდან გაიფრქვევა:

$$M = 0,2 \times 0,4 \times 0,00003 \times 0,8 \times 0,1 \times 37 \times 1000 = 0,007 \text{გ/წმ}$$

$$G = 0,007 \times 6720 \times 3600 / 10^6 = 0,17 \text{ტ/წელ}.$$

ნედლეულის შემადგენელი ინგრედიენტების პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,007 \times 0,83 = 0,00581 \text{გ/წმ}$$

$$G = 0,17 \times 0,83 = 0,14 \text{ტ/წელ}$$

არაორგანული მტვერი:

